

ქ.ფოთი

13 დეკემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი „ფაზისი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გივი ღვანიას სახით და მეორეს მხრივ შპს „გელმარი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის გელა ვადაქარიას სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი და მიწოდების ვადები:

- 1.1. ხელშეკრულების საგანია საქონლის შესყიდვა.
- 1.2 საქონლის დასახელება-გარეგანათების მოწყობილობის მონტაჟი (CPV – 45316100).
- 1.3 საქონლის მიწოდება განხორციელდეს 2019 წლის 25 დეკემბრამდე.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - 476.63 (ოთხას სამოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდასამი თეთრი) ლარი. (იხ. დანართი №1).

### 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

- 3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1. შესყიდვის საგნის ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 4.2. საქონლის მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით ან საგადასახადო ანგარიშფაქტურით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტის დოკუმენტაციაზე ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი - ზურაბ ჯიქია.
- 4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული პროდუქციის მიწოდების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

### 5. მხარეთა უფლები-ვალდებულებები

- 5.1. შემსყიდველს უფლება აქვს: მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა.
- 5.2. შემსყიდველი ვალდებულია: -მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს: -მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება.
- 5.4. მიმწოდებელი ვალდებულია: -დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

### 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 %-ს.

7.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან ან ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თეა ზარგინავა (კოლეჯის შესყიდვების სპეციალისტი).

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. სხვა პირობები

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

12.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

ს/კ 215101716

მის: ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

ბანკის დასახელება

სახელმწიფო ხაზინა

სუბსიდია

მიმწოდებელი :

შპს „გელმარი“

ს/კ 215108087

მის: ქ. ფოთი, ჭანტურიას ქ. №2

ბანკის დასახელება

„ვითიბი ბანკი ჯორჯია“

საბანკო კოდი:

UGEBGE22

ანგარიშის ნომერი

GE92VT060000005303605

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:



/გივი ღვანია/

დირექტორი:

/გელა ვადაქარია/

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	კატეგორიის/ ქვეკატეგორიის კოდი	ერთეულის ფასი	სულ ჯამი
1	2	3	4	5
1	განათების მონტაჟი	45316100	476-63	476-63
			სულ ჯამი:	476-63

საქონლის ღირებულება შეადგენს - 476.63 (ოთხას სამოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდასამი თეთრი) ლარი.

მივიღე :

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:



/გივი ღვანია/

ჩავაბარე :

შპს „გელმარი“

დირექტორი:

/გელა ვადაქარია/

## ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ)

ქ. ფოთი

13 დეკემბერი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შპს „გელმარი“ - ს მიმართ.

სსიპ კოლეჯის „ფაზისი“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:



/ გივი ღვანია /

შესყიდვების სპეციალისტი:



/თეა ზარგინავა/